სსიპ ბათუმის შოთა რუსთაველის
სახელმწიფო უნივერსიტეტი

12 აპრილი, 2024 წ.

ბრძანება N 01-10/37

ბსუ-ს **საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურში სტაჟიორთა მისაღები**
კონკურსის გამოცხადების შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 23-ე და 24-ე მუხლების, ბსუ-ს წესდების მე-15 მუხლის, ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2013 წლის 29 მარტის N02 გადაწყვეტილებით დამტკიცებული „ბსუ-ში სტაჟირების გავლის წესისა" და ბსუ-ს საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურის უფროსის 2024 წლის 11 აპრილის N415469 სამსახურებრივი ბარათის საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. გამოცხადდეს კონკურსი **ბსუ-ს საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურში სტაჟირების** გავლის მიზნით კანდიდატთა (სტაჟიორთა) შესარჩევად.
2. კონკურსში მონაწილეობის მიღება შეუძლიათ ბსუ-ს **„კომპიუტერული მეცნიერების" საბაკალავრო** საგანმანათლებლო პროგრამის **მე-3** სასწავლო ნლის სტუდენტებს (რომელსაც ათვისებული აქვს არანაკლებ 120 კრედიტი) ან/და **მე-4 სასწავლო წლის** სტუდენტებსა და „კომპიუტერული მეცნიერების" **სამაგისტრო** საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტებს ან აღნიშნული პროგრამების **კურსდამთავრებულებს.**
3. კონკურსში მონაწილეობის მსურველმა პირმა 2024 წლის **13 აპრილიდან 22 აპრილის ჩათვლით** ბსუ-ს საქმისწარმოების სამსახურის (კანცელარია) ან ბსუ-ს ელექტრონული ფოსტის (chancellery@bsu.edu.ge) უნდა წარმოადგინოს:
ა) წერილობითი განცხადება სტაჟირების გავლის შესახებ (შევსებული სტაჟირების გავლის წესის N1 დანართით გათვალისწინებული ფორმის შესაბამისად, მათ შორის, სამოტივაციო ნაწილიც);
ბ) პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი;
გ) CV;
დ) ცნობა სტუდენტის სტატუსის შესახებ (აქტიური სტუდენტის სტატუსის შემთხვევაში) და სასწავლო ბარათი, ხოლო კურსდამთავრებულმა - დიპლომისა და სტანდარტული დანართის ასლი;
ე) ერთი ფოტოსურათი (3X4);
ვ) ცნობა სოციალურად დაუცველობის შესახებ (არსებობის შემთხვევაში).
4. კონკურსის წესით შეირჩეს **4 სტაჟიორი,** რომლებმაც ბსუ-ს საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურში **ორი თვის** განმავლობაში ანაზღაურებისგარეშე სტაჟირება გაიარონ შემდეგი განრიგით: ორშაბათიდან პარასკევის ჩათვლით, პირველ ცვლაში (09:00 სთ-14:00 სთ) – 2-მა სტაჟიორმა, ხოლო მეორე ცვლაში (14:00 სთ - 18:00 სთ) - 2-მა სტაჟიორმა.

5. შერჩეულმა სტაჟიორებმა სტაჟირების გავლის პერიოდში უნდა შეასრულონ ბსუ-ს საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურის დებულებითა და პერსონალის სამუშაო აღწერილობით გათვალისწინებული ფუნქცია-მოვალეობები, დაკისრებული დავალების ფარგლებში.

6. სტაჟირების წარმატებით გავლის შემთხვევაში თითოეულ სტაჟიორზე გაიცეს სერტიფიკატი.

7. ანაზღაურებისგარეშე სტაჟირების წარმატებით გავლის შემდეგ სტაჟიორთა ხელმძღვანელმა სამსახურებრივი ბარათის საფუძველზე წარმოადგინოს 1 (ერთი) სტაჟიორი, რომელთანაც მისი თანხმობის შეთხვევაში შესაძლებელია **გაფორმდეს შრომითი ხელშეკრულება** და დასაქმდეს **არაუმეტეს 6 თვის ვადით** (ანაზღაურებადი სტაჟირება), ყოველთვიური შრომის ანაზღაურება - 500 ლარი.

8. სტაჟიორთა შერჩევის მიზნით შეიქმნას საკონკურსო კომისია, რომელმაც განსაზღვროს კონკურსის ჩატარების ვადები და ინფორმაცია განათავსოს ბსუ-ს ვებგვერდზე (კონკურსების ველში).

9. განცხადება სტაჟიორთა მისაღები კონკურსის გამოცხადების შესახებ გამოქვეყნდეს უნივერსიტეტის ვებგვერდზე, წინამდებარე ბრძანებასთან და ბსუ-ს სტაჟირების გავლის წესთან ერთად (ბსუ-ს სამართლებრივი აქტები, მათ შორის, ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2013 წლის 29 მარტის N02 გადაწყვეტილებით დამტკიცებული „ბსუ-ში სტაჟირების გავლის წესი" განთავსებულია ბსუ-ს ვებგვერდზე, ველის „სწავლა" ქვეველში **„სტუდენტთა გზამკვლევი" – N13 დანართი** https://bsu.edu.ge/upload/bsu_stajirebis_gavlis_wesi_2022.pdf).

10. ბრძანება დაეგზავნოს ბსუ-ს საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს, საქმისწარმოების სამსახურს (კანცელარია), სტუდენტთა კარიერული განვითარების, კულტურისა და სპორტის დეპარტამენტს, ზუსტ მეცნიერებათა და განათლების ფაკულტეტსა და საფინანსო-ეკონომიკურ დეპარტამენტს.

11. ბრძანება ამოქმედდეს ხელისმოწერისთანავე.

12. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილ ვადაში და წესით ბათუმის საქალაქო სასამართლოში (ქ. ბათუმი, სტეფანე ზუბალაშვილის ქუჩა N30).

ადმინისტრაციის ხელმძღვანელი **მერაბ დიასამიძე**